ცნობის ფურცელი

№ 1752 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 14 მარტი № 1752

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულის

ალექსანდრე ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილისა

აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 16 ამა მარტს, დღით შაბათს, დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში და სოფ. ითხვისში, შორაპნის მაზრის ნათლის მცემლის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვილი. (2—276—1)

მარიამ დავითის ასული შვილებით და ივანე თევდორეს ძე კოლელიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა, პირველნი ძვირფასის ქმრისა და მამისა, ხოლო მეორე—საყვარელის ძმისა

იოსებ თევდორეს ძის კოლელიშვილისას.

პანაშვიდი იქნება დღეს, 14 მარტს, საღამოს 7 საათზე განსვენებულის სადგომში, გიორგიევის მოედანზე № 32, ხოლო გასვენება პარასკევს, 15 მარტს დილის $9^{1}/_{2}$ საათზე, კალოუბნის ეკლესიაში და იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12 | 1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინოვ—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1,—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაიძლისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოებასთან

ისყიდება
აბრეშუმის თესლი

იტალიურის, ფრანგულისა და ბაღდადის ჯიშისა. (ნ. 3—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

ვ. აბაშიძის დღესასწაული*)

თეატრის მოღვაწე სომეხთა ამხანაგობის წარმომადგენელის ექიმის ა. ი. ხატისოვის სიტყვა:

„ღრმად პატივცემულო ვასილ ალექსის ძევ! ამ წუთს თქვენ მოწმე იყავით იმ გულწრფელის აღტაცებისა და ტაშის ცემათა გრგვინვისა, რომლითაც საზოგადოება და ხალხი მოესალმა თქვენს აქ გამოსვლას: ეს ხალხის განაჩენი ღირსეულს დაფნის გვირგვინს უძღვნის თავისუფალს მსახურს თავისუფალის ხელოვნებისას.

ვითა ბნელსა და ცივს ღამეში შორიდან გამომკრთალი ცეცხლის მცირე სინათლეც-კი იზიდავს თვისკენ დაღლილ-დაქანცულს მგზავრს, უქადის მას გაუშუქოს ბნელი და გაათბოს, ისეც ჩვენს მოსაწყენ, უსულგულო დროს, თეატრი თვისკენ იწვევს ყველა დაღლილთ, რომელთაცა სწყურიანთ წრფელი, ცხოველი სიტყვა, აღფრთოვანებული ქადაგება სიმართლისა და კეთილისა.

ჩვენ ყველა ვგრძნობთ ეხლა ამას. მაგრამ მეოთხედ საუკუნის წინად, როდესაც თქვენ პირველმა ხელთ აიღეთ იარაღი და შეუდეგით მშობლიურ საძირკველის კეთებას, მაშინ თქვენ იყავით მეკვლე, მაშინ თქვენს გადამდებს სიცილს, რომელთ შორისაც, ირგვლივ გამეფებულ ცხოვრების უკუნეთის გამო, მწარე ცრემლებიც გამოჰკრთოდნენ, არა თანაგრძნობით ეგებებოდნენ, არამედ ურწმუნოებითა და გულ-გრილობით. მაგრამ თქვენ სულით არ დაცემულხართ, მრავალ წელთა განმავლობაში მხნედ და უშიშრად მიდიოდით წინ, რადგან იცოდით, რომ ჩვენში, კავკასიაში, სამშობლო სცენა არა თუ მხოლოდ ცხოვრების სკოლაა,—იგია სკოლა სამშობლო ენისაც.

ჩვენს დროში, როცა სამშობლო ენაზე ლაპარაკი თანდათან იშვიათად გვესმის, განსაკუთრებით ძვირფასია, რომ ეს ენა მეფობს აქ, ამ ფიცრის კედელთა შორის და ამაში თქვენგან, როგორც არტისტ-პატრიოტისაგან, რომელიც აცხოველმყოფელებდით დედაენას და თეატრს სძღვნიდით ახალს პიესებს,—ქართველი საზოგადოება მცირედ დავალებული არ არის.

თქვენ შეჰქმენით მთელი წყობა ცოცხალ, ბრწყინვალედ დასურათებულ ტიპთა, რომელნიც მანათობელნი არიან თვისებურობითა და სინამდვილით. ამავე დროს არ გავიწყდებოდათ უმცროსნი ძმანი. და ისინიც ამ წუთას ქართლისა და კახეთის სადმე მივარდნილს ღარიბად მორთულს კუთხეში უთუოდ არა ნაკლების აღტაცებითა და სიყვარულით გიგონებენ, ვიდრე აქ, ამ ბრწყინვალე დარბაზში შეგროვილი საზოგადოება.

თუ ხალხთა ერთობა ფუჭი ოცნება და ტკბილი სიზმარი არ არის, მაშ ვინ არის პირველი მახარობელი მერცხალი მომავალ ბრწყინვალე გაზაფხულისა, თუ არ ხელოვნების მსახურნი? ქართული ენისა და ქართული სცენის მხურვალედ მოყვარული, თქვენ თქვენის შემოქმედებითის ძალ-ღონით აფრთოვანებდით არა მარტო ქართველთ, არამედ სხვა ერთაც: თქვენ მაღლა იდექით და ყურს არ უგდებდით სხვათაგან გაკილვას და აი, სომეხნიც დღეს გულწრფელად და მხურვალედ ტაშს გიკრავენ თქვენ, ვითა უანგარო მსახურს თავისუფალ ხელოვნებისას.

ნება მიბოძეთ მეც, თეატრის მოღვაწე სომეხთა ამხანაგობის სახელით, განსაკუთრებულის მხურვალე გრძნობით მოგესალმოთ, ვასილ ალექსის ძევ, მოგესალმოთ ნიჭიერს კაცს, რომელმაც შეჰქმენით ბრწყინვალე მაგალითი ქართველ-მსახიობ გმირისა, ვისიც

---

*) იხ. „ცნ. ფურც." №№ 1748, 49, 50 და 1751.

ფელეტონი

წერილი საფრანგეთიდან

ვიქტორ ჰიუგოს დღესასწაულები

ამ წლის 26 (13) თებერვალს შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში დაიბადა უდიდესი პოეტი ვ. ჰიუგო. მთელმა საფრანგეთმა, გაურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა, ამ მარად-სახსოვარ დღეს მადლობით მოიხსენია სახელი იმ კაცისა, რომელიც შეადგენს ფრანგთა ეროვნულს სიამაყეს, რომლის დიადი ზეცით-მომადლებული ნიჭი ცხრათვალა მზის მსგავსად დაქათქათებს მისს საყვარელს მამულს, რომელიც სამოცის წლის განმავლობაში თავისის ქნარის უტკბილეს ხმებს ყურში აწვეთებდა თანამემამულეთა და მათის მეოხებით გულში უღვიძებდა მსოფლიო სიყვარულსა, მსოფლიო შენდობასა, სვეუბედურთა და ტანჯულთა შველადახმარებასა.

ეს მესამედ ადიდა ასეთის ზეიმით საფრანგეთის ერმა სახელი და ამაგი თავისის უკვდავის შვილისა. პირველად 1881 წელს, როცა ვ. ჰიუგო 80 წლის მოხუცი იყო. მეორედ თაყვანი სცეს მისს უკვდავებას 1885 წელს, როცა მსოფლიო მგოსნის, დავრდომილთა პატრონის და კაცობრიობის ერთგულ მოსარჩლის გარდაცვალებამ საფრანგეთთან ერთად მთელი ქვეყანა ძაძით შემოსა. ხოლო მესამედ წელს, როცა ასი წელიწადი შესრულდა პოეტის დაბადებიდან, ფრანგებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ თავიანთი ნაამაგდარი და მოჭირნახულე ადამიანი მით უფრო უყვართ, მით უფრო ახსოვთ, რაც უფრო მეტმა ხანმა განვლო მისის განშორების შემდეგ.

უკანასკნელმა დღესასწაულებმა თითქმის მთელი ერთი კვირა გასტანა. საფრანგეთის უზარ-მაზარ დედა-ქალაქში მარტოოდენ ვიქტორ ჰიუგოს სახელი გაისმოდა ამ ერთის კვირის განმავლობაში. დღესასწაულების დაწყებამდე ყოველს უბანში კრებებსა მართავდნენ, ხალხს აცნობდნენ ამ დიდებულის კაცის ცხოვრებას, მისს დიადს შემოქმედებითს ნიჭს, მისს საუკეთესო ნაწერებს. ჟურნალ-გაზეთები სავსე იყო პოეტის ამბებით. ცალკე აუარებელი წიგნები გამოვიდა სხვადასხვა ავტორთა, რომელთა აზრი იყო მკითხველისათვის გაეცნოთ მნიშვნელობა ვ. ჰიუგოსი. პოეტის სურათებსა (სხვა-და-სხვა ასაკში) ხომ თვლა არა ჰქონდა. ქუჩებში მისი სახელი-ღა ისმოდა. თეატრებში მის პიესებს თამაშობდნენ. ერთის სიტყვით, ამ ხნის განმავლობაში პოეტის აჩრდილი ზედ დასტრიალებდა უზარ-მაზარ ქალაქს და ყველას ერთის აზრითა მჭვალავდა: ექოთ და ედიდებინათ თავიანთი ეროვნული სიამაყე და უკვდავი შვილი.

სადღესასწაულო ხარჯი ქალაქმა იკისრა. მონაწილეობა კი მიიღეს როგორც ქალაქმა, ისე მთავრობამ, მოსწავლე ახალგაზდობამ, მწერლობისა და მეცნიერების წარმომადგენელთ.

დღესასწაულის მრავალფეროვან პროგრამის პირველი ნაწილი შესრულებულ იქმნა პანთეონში—საფრანგეთის დიდებულ მამულიშვილთა სამარხში, სადაც განისვენებს ნეშთი თვით ვ. ჰიუგოსი. უზარ-მაზარ შენობის წინა-პირზე ჩამოშვებული იყო ხავერდი, რომელზედაც ვარაყიანის ასოებით გამოყვანილი იყო ერთის მხრით 1802 წელი (დაბადება პოეტისა) და მეორეს მხრით—1902 წ. (ასი წელიწადი დაბადებიდან). გარშემო ამ რიცხვს და თვით გუმბათს სამფეროვანი ბაირაღები ამკობდა. პანთეონის შიგნით მაღალ პედესტალზე პოეტის ბიუსტი იდგა, დაფნის უზარ-მაზარ გვირგვინით შემკული. შენობის თაღთან ჩამოკიდებული იყო თაღის სიდიდე ოქროს გვირგვინი, რომელსაც ჩამოკიდებული ჰქონდა ოთხი ცოცხალ ფოთლების გირლიანდები. ბიუსტის პირდაპირ ადგილი საფრანგეთის პრეზიდენტ ლუბესათვის იყო დამზადებული, მის მარჯვნივ უნდა დამსხდარიყვნენ წევრი პოეტის ოჯახისა: მისი შვილის-შვილი ჟორჟ ჰიუგო მეუღლითურთ, ქ-ბატონი შარკო—გამოჩენილი ფსიხიატრის რძალი (შვილის-შვილი პოეტისა), ქალბატონი ლეკროა (პოეტის რძალი). დანარჩენი ადგილები დამზადებული იყო სადიპლომატიო პირთათვის, მინისტრებისა და მწერლობა-მეცნიერების წარმომადგენელთათვის.

დილის სრულ ათ საათზე პანთეონში მოვიდა პრეზიდენტიცა. მუსიკამ ფრანგების ნაციონალური ჰიმნი „მარსელიეზა" და „ვ. ჰიუგოს ჰიმნი" დაუკრა. ორივე ყოვლადის სასოებით იქმნა მოსმენილი დამსწრე საზოგადოებისაგან. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ანიშნა და საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ლეიგმა დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა:

„ბატონებო! საფრანგეთის რესპუბლიკა ეროვნულ დღესასწაულს იხდის ვ. ჰიუგოს ასის წლის დაბადებისას. ამით მთავრობას უნდოდა თავისი მადლობა გადაეხადნა იმ პოეტისათვის, რომელმაც თავის სამშობლოს ენა სწორუპოვარის მშვენიერებით შეჰმოსა; მადლობა გადაეხადნა მოქალაქისათვის, რომელმაც გვიჩვენა ყოვლად სრული მაგალითი მოქალაქებრივის ქველობისა.

ამავე დროს მთავრობასა სწადდა პატივი ეცა მწერლობისათვის, რომელმაც, ეს ოთხი საუკუნეა, მთელს ქვეყანაში საფრანგეთს პირველი ადგილი და ძალა მიანიჭა, და რომელიც მუდამ ჟამს კრიჭაში უდგა ყოველგვარს ძალადობას, რათა დაეცვა უფლებანი აზროვნებისა.

ამ ტაძარში, რომელიც დანიშნულია დიდებულთა თაყვანისცემად და რომელთან ერთად დაკავშირებულია მოგონება ესდენ უავგუსტოესთა მიცვალებულთა, ამ ტაძარში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე, ჩვენი ერის რჩეულთა, მთავრობის პირველ ხარისხოვან გვამთა, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების და უმაღლეს სასწავლებლების უბრწყინვალეს წარმომადგენელთა შორის, წარმოვიდგენ ძველის დროის დღესასწაულებს, როცა მთელს ერსა, წმიდა მღელვარებით ატაცებულს, ღმერთე-

ეროვნული

საბრძოლველი ბასრი ხმალი მახვილი სიტყვა და მხიარულებაა. დაე თქვენი მხნე სიცილი კიდევ მრავალს წელს განისმოდეს ქართულ თეატრის ზღუდეთა შორის, დაე თქვენი თამაში აღვიძებდეს მიძინებულსა და გაცივებულ გულს, დაე თქვენმა სიტყვამ უფერულთა და გულგრილთ აგრძნობინოს, რომ პატარა ერის ენას ძალ-უძს გამოსთქვას ოდნავათაც დასახული გრძნობა და აზრი და ამ ბრწყინვალე დღესასწაულმა, რომელმაც ერთად შეჰკრიბა სხვა-და-სხვა ეროვნებათა და წოდებათა წარმომადგენელნი, მცირეოდნად მაინც დაგაჯილდოვოსთ ნაცვლად იმ გაჭირვებისა, რომლითაც ასე უხვად მოფენილი იყო თქვენი ძნელი და ხანგრძლივი გზა“.

სადღესასწაულო აქტის შემდეგ იუბილარმა შემდეგის სიტყვებით გადაუხადა მადლობა დეპუტაციებსა და საზოგადოებას:

„ბატონებო! ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ.

დღევანდელმა დღემ ნათლად დამანახვა, რომ ქართველს ერს შესძლებია დაფასება და პატივისცემა არა მარტო დიდ მოღვაწეთა, არამედ ისეთის მცირე მუშაკებისაც, რომელთა შორის მეც ვირიცხები.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ეკლიანი და შხამ-ნაღვლიანი იყო და არის ქართულს სცენაზე შრომა. მაგრამ დღევანდელი დღე ყველა ვარამს მავიწყებს. დღევანდელმა დღემ დამიმტკიცა, რომ ჩემს მცირე შრომასაც, ამ 25 წლის განმავლობაში, სამშობლო სცენაზე უქმად და უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

ვიმეორებ, ნება მიბოძეთ, ყველას გამოგიცხადოთ ჩემი გულითადი მადლობა. მადლობა მომიხსენებია აგრეთვე ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელთათვის, მადლობას ვუძღვნი ჩემს ამხანაგებს, სომეხთა არტისტებს და თანამშრომლებს“.

მთავრობის განცხადება

სავალდებულო დადგენილება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა

„ჩერნომ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია:

„საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, საგუბერნიო დებულების მე-421 მუხლის თანახმად, საჭიროდ ვრაცხ გამოვცე შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ახალ-სენაკის, ჭიათურისა და ონის მცხოვრებთათვის:

1) აკრძალულია ხალხის ყრილობა და კრება ზემოაღნიშნულ ქალაქ-დაბების ქუჩებზე და მოედნებზე სათათბიროდ და საზოგადო მშვიდობიანობის დამარღვეველი მოქმედებისათვის.

2) აკრძალულია ხსენებულს ადგილებში ქუჩებზე და მოედნებზე ყოველი შეჩერება და ყრილობა, რომელიც საჭიროებით არ არის გამოწვეული.

3) აკრძალულია ხსენებულს ადგილებში თავის მოყრა საყურებლად, როდესაც ქუჩაში უწესოება-არეულობა დაიწყება.

4) შეგროვილი ხალხი ვალდებულია დაიშალოს პოლიციის 1-ლ მოთხოვნისთანავე.

5) აკრძალულია ყველასათვის პოლიციის განკარგულება-მოქმედებაში ჩარევა, როდესაც ის თავის მოვალეობას ასრულებს, და აგრეთვე პოლიციის მოქმედების საჯარო დაფასება და კრიტიკა.

ყველა, ვინც შენიშნული იქნება მშვიდობიანობისა და წესიერების დამრღვეველ მოქმედებაში, პოლიციის პირველსავე მოთხოვნაზე უნდა გაჰყვეს საპოლიციო დაწესებულებაში ჩვენების მისაცემად და ნება არა აქვს იქვე ქუჩაში დაობა დაუწყოს პოლიციელთ.

6) თუ ქუჩებში არეულობა დაიწყო, პოლიციის პირველსავე მოთხოვნაზე დაკეტილ უნდა იქმნას ყველა ალაყაფის კარები, მაღაზიები, დუქნები, სარდაფები და საზოგადოთ ყველა სავაჭრო დაწესებულებანი.

7) ვინც ამ დადგენილებათ დაარღვევს, საგუბერნიო დებულების მე-423 მუხლის თანახმად, პასუხს გებაში იქმნება მიცემული.

8) აგრეთვე პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი ისინიც, ვინც წააქეზებს სხვებს ამ დადგენილებათა დარღვევაზე.

9) ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შედიან გაზეთებში გამოცხადებიდან 14 დღის შემდეგ.

ქუთ. სამხედრო გუბერნატორი
გენ.-მაიორი **ხმაგინი**“.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ყველასათვის მოულოდნელად საფრანგეთის პალატამ მიიღო პროექტი, რომლის ძალით პარლამენტის წევრებს აირჩევენ ექვსის წლით და არა ოთხის წლით, როგორც აქამდე იყო. საზოგადოებამ არც კი იცოდა, არსებობდა თუ არა ამ გვარი პროექტი. პროექტის ავტორი რადიკალი პურკერი დებუსერენია. საქმის განხილვის დროს მთავრობის მხრივ ილაპარაკა საერთო განათლების მინისტრმა ლეიგმა. მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა მომხრეა პურკერი დებუსერენის პროექტისა, რადგან 4 წელიწადი ერთობ პატარა ვადაა, რომ შესაძლებელი გახდეს დიდმნიშვნელოვან საკანონმდებლო კითხვების შესაფერისი განხილვა და გადაწყვეტა. გარდა ამისა, განზრახულ ცვლილების შემოტანა იმიტომ არის კიდევ სასურველი, რომ საზოგადო არჩევნები არღვევენ საქმეთა მშვიდობიან მიმდინარეობას და ამიტომ საჭიროა ეს ხშირად არ ხდებოდესო. პროექტის წინააღმდეგ დიდის გაცხარებით ილაპარაკეს ვივიანიმ და პელტანმა. მათის აზრით, განზრახული პროექტი ანტი—დემოკრატიულია. კამათი საზოგადოთ ცხარე იყო. კენჭის ყრის დროს აღმოჩნდა, რომ არც ერთ პარტიას წინ დაწინვე არ მოულაპარაკნია, თუ როგორ მოქცეულიყვნენ კითხვის გადაწყვეტის დროს. პურკერის პროექტი მიღებულ იქმნა 298 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 237-ისა.

მთავრობის წარმომადგენლის ქცევისაგან ხსენებულ პროექტის განხილვის დროს გაზეთებს ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ მთავრობა დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში მომავალ არჩევნების დროს. რომ ეს ეგრე არ იყოსო, პარლამენტის ვადის გაგრძელებას მთავრობა არ მოისურვებდაო.

ავსტრ-ჰუნგრეთი. უმაღლეს სასწავლებლების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს პანგერმანელების მეთაურმა შენერერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, ავსტრიის დინასტიის წინააღმდეგი ტირადა იყო, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია რეიხსრატში. შენერერი ამტკიცებდა გერმანულ სახელმწიფო ენის საჭიროებას და შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ჩვენა გვსურს ისე შევუკავშიროთ ავსტრიის „გერმანული ნაწილები გერმანიის იმპერიას, რომ ჩვენი ეროვნება სრულებით უზრუნველ-ყოფილი იყოს. ჩვენ ვებრძვით ყოველ მთავრობას, რომელიც კი წინააღმდეგობას უწევს ამ მიზანს და ეხლანდელ მთავრობასაც ამიტომ ვეუბნებით უარს დროებით ბიუჯეტზე. და თუ პრეზიდენტი იძულებული გახდა შენიშვნა მიეცა დეპუტატ ეიზენ კოლბისათვის იმიტომ, რომ მან ქებით მოიხსენია ჰოჰენცოლერნების გერმანული დინასტია, მეც იძულებული ვხდები გავათავო ჩემი სიტყვა ამ ნაირად—გაუმარჯოს ჰოჰენცოლერნებს“. პრეზიდენტმა მაშინვე შენიშვნა მისცა შენერერს. პანგერმანელი დეპუტატები იმეორებენ მეთაურის უკანასკნელ სიტყვებს, სხვა პარტიები აღშფოთებულნი არიან. პანგერმანისტი შტეინი და ჩეხები ერთმანერთს ლანძღავენ. ყველა პარტიების წარმომადგენელნი პროტესტს აცხადებენ შენერერის წინააღმდეგ. მლადოჩეხმა კრამარჟმა სთქვა: „შენერერის სიტყვა განმარტებას არ საჭიროებს. სახელმწიფო თვითონ არას ამბობს, მის მაგიერ ჩვენ გვალაპარაკებენ. ნუ თუ შესაძლებელია, რომ ვინმემ ინგლისის პარლამენტში „გაუმარჯოს“ უთხრას რომელიმე უცხო დინასტიას? გაბედავს რომელიმე პოლონელი ამასვე გერმანიის რეიხსტაგში? შეიძლება მთავრობა მიხვდეს, თუ საით მიდის შენერერის პოლიტიკა. უთუოდ უაზრო და უნიადაგო სურვილი მეზობლად არ გერმანულ იმპერიის [illegible] გერმანიზატორულ ტაქტიკის შედეგი ჩვენს იმპერიაში შენერერის პოლიტიკაა, რომელიც გამოიხატება „ჰოჰენცოლერნს გაუმარჯოს“-ში... ჩვენ, ჩეხებს, იმიტომ წაგვართვეს სწორ-უფლებიანობა, რომ დაეკმაყოფილებინათ ის ვაჟბატონები, რომელნიც ეხლა უყვირიან სახელმწიფოსა და მათ ხელმძღვანელებს—„გაუმარჯოს ჰოჰენცოლერნს“-ო.

კრამარჟს ამავე საგანზე წინათაც ულაპარაკნია და საბუთიანად უმტკიცებია, რომ თუ ავსტრიის სახელმწიფოს სურს მომავალი ჰქონდეს, იგი ყველა ერების გასწორ-უფლებიანობისა და ფედერაციისაკენ უნდა მიისწრაფოდეს; ავსტრია, თუ გერმანიულ სახელმწიფოდ ყოფნას მოისურვებს, იგი გერმანიის იმპერიის მსხვერპლი შეიქნებაო.

რომ გერმანიის იმპერიის გერმანელები არ ხუმრობენ, რომ კრამარჟის სიტყვები საბუთიანია, ეს იქიდან სჩანს, რომ არა თუ კერძო პირები და საზოგადოებანი, გერმანიის ზოგიერთი მთავრობაც ხელს უწყობს ავსტრიის პანგერმანელების მოქმედებას. ამ მოკლე ხანში მლადოჩეხი ხორუიც შეეკითხა პირველ მინისტრს კერბერს: „იცის თუ არა ბ. მინისტრმა ჰესენ დარმშტადტის მთავრობამ 200 ათასი მარკა შემწეობა დაუნიშნა „საერთო გერმანულ სასკოლო საზოგადოებას“ ავსტრიაში პანგერმანულ აგიტაციის გაძლიერებისათვის, და თუ იცის, სურს თუ არა ამ გვარივე შემწეობა აღმოუჩინოს პოლონელებს პრუსიაში?“ ჩეხიის გაზეთები შიშს აცხადებენ, ვაი თუ კერბერმა თავისებურად მიაფუჩეჩოს ეს საქმეო. საკითხი კი მეტად საყურადღებო არისო: პანგერმანული ქადაგება უფრო და უფრო ძლიერდება; ავიწროებს სხვა ერების ინტერესებს და ჰკრებს ამ მიზნისათვის დიდ-ძალ ფულს. ავსტრია ისეთი ორგანიზმი გამოდის, რომელზედაც შესაძლებელი ხდება ყოველ-გვარ ოპერაციების მოხდენა. გერმანიის „ევანგელიური კავშირი“ რამდენიმე მილიონ ფულს გზავნის საზღვარ-გარედ; მისი აგენტები ყველგან არის. ეს ყველა „ძველ გერმანელების კავშირი“-ს საქმეებიც. „სასკოლო საზოგადოება“ გზავნის ყოველ დღე დეპეშებს და საზღვარ-გარედ აგროვებს ფულებს, რასაკვირველია, პანგერმანულ აზრების განსახორციელებლად; სარგებლობენ იმითი, რომ ავსტრიის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამაებს.

გერმანია. ამას წინად გარდაიცვალა რეიხსტაგის დეპუტატი ბრესლავიდან სოციალ-დემოკრატი შენლანკი; მის მაგიერ ამ დღეებში მომხდარ არჩევნებზე არჩეულ იქმნა ედუარდ ბერნშტეინი 14,700 ხმით წინააღმდეგ 6428-სა.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებმა იციან, რომ, უმაღლესის მთავრობის გარდაწყვეტილებით, 23 იანვრიდან პეტერბურგში, ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, დაწესებულ იქმნა გან-

---

ბის ხარისხამდე აღყავდა ის თავიანთი ძენი, რომელთაც მას მიანიჭეს უფრო მეტი სიძლიერე და უფრო მეტი დიდება.

ამ გმირულ პატივცემის ღირსი ვიქტორ ჰუგოსავით არავინ გამხდარა. თვრამეტის წლისა იყო, როცა გამოსცა თავისი პირველი წიგნი და სამ მეოთხედ საუკუნის განმავლობაში მთელს მსოფლიოს აკვირვებდა თვისთა ნაწარმოებთა ბრწყინვალებითა. ვიქტორ ჰუგო ყველაფრით შემკულია: სიძლიერითა და სინაზითა, ხან მწარედ დამცინავია მისი კალამი, ხანაც კოხტა, კოპწია, ხან იცინის, ხან სტირის. ტკბილია ვ. ჰუგო, ამავე დროს საშინელი და რისხვიანია. აქებადიდებს გმირთა და ღმერთთა; გარნა უმეტესის სინაზით და სიყვარულით ვ. ჰუგო სვეუბედურთ, დაჩაგრულთ, სუსტთ და ყრმებს ექომაგება, ხელს აფარებს.

ვ. ჰიუგომ დიდხანს იცოცხლა და ამ დიდის ხნის სიცოცხლის განმავლობაში ბევრი ტანჯვა გამოიარა, ბევრი იბრძოლა და თავისს ფილოსოფიურსა და პოლიტიკურს სახარებაზე ეს ოთხი სიტყვა დააწერა, რომელნიც იმ დროის შემდეგ მისთვის გამომხატველი იყვნენ ადამიანის მთელის სიბრძნისა: **თავისუფლება, სამართალი, თანხმობა, სიბრალული.**

ვ. ჰუგომ თავისი დანიშნულება სავსებით აღასრულა, მისი ხვედრი დამთავრდა.

მაისის ერთ დღეს, იმ საუკუნის მიწურულში, რომელიც მან თავისი გენიოსობით განაბრწყინა, უებრო მგოსანი წყნარად გადავიდა უკვდავების სამეფოში.

მთელმა მსოფლიომ ძაძა შეიმოსა მისდა საგლოვად.

საფრანგეთმა ტრიუმფალურად გაასვენა.

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით ვესალმები დიდებულ პოეტის ხსოვნას, ხსოვნას პოეტისას, რომელმაც აზროვნება უმეტესად გაათავისუფლა, სამშობლო უმეტესად დიდებულ ჰქმნა და კაცობრიობა უმეტესად გააკეთილშობილა“.

არა ნაკლებ მშვენიერი იყო სიტყვა, წარმოთქმული საფრანგეთის აკადემიის დირექტორის ბ-ნის ანოტოს—მიერ. ამ ორს ორატორს მიჰყვნენ აქაურის თეატრის „კომედი-ფრანსეზ“-ის საუკეთესო მსახიობნი ქ-ბნნი: ბარტე სეგონ-ვებერ და ბ-ნი მუნესული, რომელთაც უკვდავის მგოსნის საუკეთესო ნაწარმოებთა ნაწყვეტები წაიკითხეს. დღესასწაული გათავდა მუსიკითა და პრეზიდენტიც გამოესალმა იქაურობას.

იმავე დღის სამს საათზე ნაკლები ამბავი არ იყო ვ. ჰუგოს მოედანზე, მახლობლად იმ სახლისა, სადაც პოეტმა თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. აქ აკურთხეს ვ. ჰუგოს ძეგლი. ამ ცერემონიაზე დასასწრებლად მოწვეული იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი. ყველა ქუჩები, საიდანაც მოედანზე გასვლა შეიძლებოდა, ხალხით იყო სავსე. ვ. ჰუგოს ხეივანი ბაირაღებით და ფერად ქაღებით შეემკოთ. ძეგლის კურთხევაზე სიტყვა წარმოსთქვა პარიზის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ, დოსემ, სენის პრეფექტმა და სხ.

1 მარტს (ახალი სტილ.) საღამოს პოეტის სახელის პატივის საცემლად ქალაქის საბჭომ თვით-მართველობის დარბაზში ბალი გამართა. საარაკო სანახავი იყო მოედანი თვითმართველობის წინ, ფერად ელექტრონის ლამპრებით ფანტასტიურად გაჩირაღდნებული. ასე იტყოდით, შავი ზღვა ახვევია გარშემო მოედანსაო. ქუჩის მემუსიკეებს ხმას აყოლებდა ეს ამოდენა ხალხი და ერთის ხმით ადიდებდნენ უკვდავებას მგოსნისას. გაზაფხულის თბილი საღამო, მოციმციმე ვარსკვლავებით მოკირწყლული ცა სასიცოცხლოდ და სამხიარულოდ იწვევდა ყველას.

დასასრული ამ დღესასწაულებისა დანიშნული იყო 2 მარტისათვის (17 თებერ.) ამ დღეს გაიმართა სახალხო დღესასწაული place des vosges-ზე იმ სახლის წინ, სადაც ვ. ჰუგო თხუთმეტის წლის განმავლობაში სცხოვრობდა. ამ სახლში მოთავსებულია საქალაქო სკოლა, მაგრამ გადაწყვეტილია მუზეუმად გადააქციონ და შიგ მოათავსონ ყოველი ნივთი, რაც მგოსანს უხმარია და რასაც მისი ხელი მიჰკარებია. აქვე იქნება მოთავსებული სხვა-და-სხვა დროის გამოცემანი მისთა თხზულებათა, ხელ-ნაწერთა და აგრეთვე სხვა-და-სხვა ენებზე გადაბეჭდილი თარგმანები მის ნაწერებისა.

პირველი ნაწილი ამ სახალხო დღესასწაულისა დაიწყო საღამოს ხუთს საათზე. ცერემონია დაიწყო იმითი, რომ საუკეთესო მესაკრავეთ დაუკრეს „მარსელიეზა“ და „საგმირო მარში“. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის დოსეს მაგივრად, რომელსაც ქალ. პარიზის სახელით სიტყვა უნდა წარმოეთქვა, ილაპაკა დუვალ-არნულდმა. მას მიჰყვნენ სხვა ორატორები. მაგრამ ყველაზე მეტად გულის ამაჩჩვილებელი იყო ყურება ცხრა-ასზე მეტ პატარა მოსწავლე ქალ-ვაჟთა, რომელთაც მწკრივად ჩაუარეს პოეტის ბიუსტს. ვაჟებს ხელში მწვანე ფოთლებისაგან დაწნული გვირგვინები ეჭირათ, ხოლო ქალებს—ყვავილები. ჩაუვლიდნენ პოეტის ძეგლს თუ არა, გვირგვინებსა და ყვავილებს ესროდნენ.

საღამო დადგა გაზაფხულისა, თბილი, ყუჩი. ერთბაშად ბაირაღებით მორთულ მოედანზე გაანათა უთვალავმა ელექტრონის ლამპრებმა, სხვა-და-სხვა ფერისამ. ამავე დროს გამოჩნდა ხალხის მუზა, რომელიც არჩეულ იქმნა ორ-ათას მუშა ქალებ-შორის. თან ახლდა ოთხი საპატიო მხლებელი—ქალი, რომელთაც კალათებით მოჰქონდა ვარდის ნაფერთლები. მუზას ტანთ ეცვა აბრეშუმის ლურჯი კაბა. ხუთნივე ძეგლის პირ-და-პირ გაჩერდნენ და მუზამ მეტის-მეტი მოხდენით და კოპწიაობით ხელი ჩაჰყო კალათაში და ვარდის ნაფერთლები პოეტს გადააყარა.

ამაზე სადა და ამაზე უმშვენიერესს აპოთეოზს ვერავინ ინატრებდა!..

მუსიკამ „წასვლის მარში“ დაუკრა და ამოდენა ხალხმა იხუვლა ძეგლისაკენ. ყველა სცდილობდა ხელთ ეგდო ერთი ნაფერთალი მაინც, პოეტის ძეგლს რომ გადააყარეს.

დღესასწაულები კერძოდ გამართეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სახალხო უნივერსიტეტმა და სხვ.

ასე დასრულდა ეს მარად-სახსოვარი კვირა დღესასწაულებისა, უკვდავის მგოსნის სადიდებლად გამართული მისის მადლიერის ერის მიერ. დიადი იყო ვიქტორ ჰუგოს ნიჭი, მისი სიყვარული თვის ერისადმი, გარნა არა ნაკლები სიდიადე და მადლიერება, შრომისა და ნიჭის დაფასების უნარი გამოიჩინა საფრანგეთის ერმა, ამ მთელის ქვეყნიერობის გზის მაჩვენებელმა და წინამძღვარმა.

თ. ხ.

საკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დავალა **სამეურნეო მრეწველობის** საჭიროებათა გამოკვლევა და მის აღორძინებისათვის ღონისძიებათა შემუშავება.

რამდენიმე ხნის წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრმა ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეიმ წარუდგინა საბჭოს განსახილველად მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს ჩვენში სამაზრო და საგუბერნიო კრებები მეურნეთა, რომლებმაც თავის მხრით უნდა განიხილონ ესათუ ის ადგილობრივი სამრეწველო საჭიროებანი. მაზრის კრებები, სულთან-კრიმ-გირეის აზრით, უნდა შესდგეს მაზრის უფროსისა, გადასახადთა ინსპექტორის, ადგილობრივ მემამულეებისა და სხვათა მონაწილეობით; შემდეგ ამ კრებებმა თავიანთი შრომა უნდა წარუდგინონ კავკასიის სამეურნეო საბჭოს, რომელიც შეავსებს მაზრის სამეურნეო კრებების ნაშრომს და შემდეგ წარუდგენს განსახილველად სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას, სადაც მოწვეულ უნდა იქმნეს მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებული, საუფლის წულო მამულების წარმომადგენელი, საგუბერნიო ადმინისტრაციის წარმომადგენელი, სასულიერო მთავრობის წარმომადგენელი, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი და მეურნეობის წარმატებაში ყველა დაინტერესებულნი. ამ ნაირად ყოველ მხრით განხილული საკითხი შემდეგ დამტკიცებისა უნდა იქმნეს განხორციელებული. ეს პროექტი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკანასკნელს თვის სხდომაზე მოიწონა და გარდასწყვიტა, შუამდგომლობა იქმნეს აღძრული საზოგადოების პრეზიდენტის კავკასიის მთავარ მართებელ თავ. გ. ს. გოლიცინის წინაშე ნება-დაერთოს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეუდგეს ზრუნვას კავკასიაში აღნიშნულის წესით სამეურნეო კრებების საქმეს. ამ დადგენილებას სამეურნეო საზოგადოების კრება ახლო მომავალში განიხილავს.

◆ 12 მარტს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო **კრებაზე** განხილულ იქმნა მოხსენება ინჟინერ მაევსკისა მუღანლოს მინდვრების სარწყავ არხების გაკეთების შესახებ. როგორც აღნიშნული გვქონდა, ბ-ნ მაევსკი თავის მოხსენებაში საკმაოდ სცნობს 25,000 მან. არაქსისა და მტკვრიდან სარწყავი არხების მოსაწყობად. მისი პროექტი აღნიშნულ არხების გაყვანის შესახებ ტფილისის სატეხნიკო საზოგადოებამ საბოლოვოდ არ განიხილა, რადგანაც ტეხნიკის მხრით ბევრი ნაკლულევანება დაასახელეს. დიდი კამათი გამოიწვია სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენების სატეხნიკო ნაწილის განხილვამ. კამათი, რომლის დროსაც ინჟინერი ბ-ნი მათვეევი, ბ-ნ კიჩინსკი და სხვები წინააღმდეგნი იყვნენ პროექტის განხორციელებისა, გაგრძელდა ნაშუადღევის პირველ საათამდე, მაგრამ მაინც ვერავითარს გამორკვეულს მოსაზრებას ვერ დაადგინეს. ამიტომ კრება შესწყდა და გადაიდო შემდეგი დროისათვის.

◆ რადგანაც უნივერსიტეტების სტუდენტთა და სხვა უმაღლესს **სასწავლებლებში მოსწავლეთა კავკასიის დამხმარებელი საზოგადოების** დამტკიცებული წესდება მიიღეს, ამის გამო ამ საზოგადოების დამფუძნებელთ დანიშნეს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში სხდომა 17 მარტს, საღამოს 8 საათზე. კრებას მიზნადა აქვს, მოილაპარაკოს იმ ზომებზე, რომლებიც საჭიროა, რომ საზოგადოება შეუდგეს საქმეს. სხდომა საზოგადოა და, რადგანაც საქმეს მეტად სიმპატიური საფუძველი აქვს, ამისთვის დამფუძნებელნი სთხოვენ. კრებას დაესწრნენ, ვინც კი თანაუგრძნობს ამ საზოგადოებას და სურს მონაწილეობა მიიღოს იმის საქმეში.

◆ **მასწავლებელ ქალთა საზოგადოება** მართავს 25 მარტს საქველმოქმედო ბაზარს „სობრანიის“ დარბაზში, უძლურთა და ავადმყოფ მასწავლებელთა თავშესაფარის ასაგებ თანხის სასარგებლოდ. იმედია, საზოგადოება თანაგრძნობას აღმოუჩენს და არ დაიშურებს თავისს წვლილს. შემოწირულება შეიძლება გაიგზავნოს საზოგადოების კანტორაში (გრაფის და სამების ქუჩა) და საზოგადოების თავმჯდომარესთან ელ. მიხ. ლოპუხინასთან (კონსულის ქუჩა, №-12)

◆ დღეს, 14 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია სხდომა საზოგადოების **სასტატისტიკო ბიუროს** წევრთა, რომელთაც უნდა შეიმუშავონ პროგრამა, თუ როგორის წესით უნდა გროვდებოდეს ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეებში სამეურნეო სასტატისტიკო ცნობები.

◆ 12 მარტს ტფილისის ყველა საპოლიციო ნაწილებში შეიყარნენ ოსმალეთიდან **გადმოხვეწილი სომხები**, რომლებიც ტფილისში ცხოვრობენ. დაახლოვებით სულ 2,000 კაცამდე იქნება. ყველაზე ბევრი აღმოჩნდა მეხუთე საპოლიციო ნაწილის მცხოვრებნი, იმათ მიეცათ ვადა 25 მარტამდის. ამ დროს განმავლობაში ან უნდა განაცხადონ, რომ რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებენ, ან არა და წავიდნენ რუსეთის იმპერიიდან.

◆ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აცნობა თავის რწმუნებულს კავკასიაში, რომ ამ გაზაფხულიდან უნდა შეუდგნენ **სახელმწიფო გლეხთა** ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს, ასე რომ ყველა სამუშაო ამ ზაფხულს უნდა დასრულდეს.

◆ მიმდინარე წლის 25 მარტისათვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის **მცირე წლოვან დამნაშავეთა** გამასწორებელ ახალშენის სამზრუნველო საზოგადოების წევრთა, რომელთაც განსახილველად აქვთ სულ 8 საქმე. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ანგარიში 1901 წლისა, მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1901 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიშის შესახებ და სხვანი. კრება მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე **გენერალი ფრეზე** ამოირჩიეს მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრად.

◆ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, 15 მარტიდან გამოკიდული იქნება ყველა იმ პირთა სია, რომელნიც მიწვეულნი არიან ამ წელს სამხედრო **ბეგარის გადასახდელად.** იწვევენ იმ ახალგაზდებს, რომლებიც დაბადებულან პირველ ოქტომბერს 1880 წლის და პირველ ნოემბრის 1881 წ. შუა. ის ახალგაზდა კაცები, რომლებიც ამ სიებში არ არიან მოქცეულნი და აღნიშნულ დროს კი დაბადებულან, ვალდებულნი არიან, პირველ აპრილისათვის გამოცხადდნენ საკრებულოში და წარმოადგინონ დოკუმენტები, დაბადების მოწმობა და სხვა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება ქალაქის გამოსაცდელ **ხორცის დუქნის** აშენების შესახებ.

◆ შაბათს, 16 მარტს, **სახალხო წარმოდგენების სადგომში,** ავჭალის ქუჩაზე, ბ-ნი ს. სვიმონიძის რეჟისორობით, ქართული სცენის მოყვარენი გამართავენ სახალხო წარმოდგენას. წარმოსადგენად დანიშნულია გ. სუნდუკიანცის 4 მოქმედებიანი კომედია „დაქცეული ოჯახი“. წარმოდგენა საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე დაიწყება.

◆ საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა ხელ-მძღვანელად, რომელნიც კიევს მიემგზავრებიან, სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაციამ დანიშნა პირველი კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორი **ბ. კუმსკოი.**

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი მიწათ-მზომელი ჟარკოვი მე-3 საპოლიციო განყოფილების მოხელეებმა **სამართალში** მისცეს პოლიციის მოხელის ნავიცკის შეურაცხების გულისთვის.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ სუფსაზე. 11 მარტს ღამით, სუფსის ხიდის ქვეშ ბოროტ-გამზრახველთ **გაეხვრიტათ კეროსინის მილი;** ეს შეამჩნიეს ერთი საათის შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც გამოვიდოდა 300 ფუთამდე კეროსინი.

◆ გუშინ, 13 მარტს, **ნაცახცარის წყლების** გამომკვლევეელი კომისიის სხდომა იყო. კომისიამ დაწვრილებით თავი თავს მოუყარა სხვა და სხვა გამოკვლევათა.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, იჯარით გასცეს **ოთხი დუქანი-ბუდკა** ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში.

◆ ტფილისის გუბერნიის სამმართველოში თხოვნება შემოიტანა რამდენსამე პირმა, რომელთაც უნდათ **ლუდის ქარხანა** გახსნან: ტიგრანოვმა—წყლის პირის ქუჩაზე, მანთაშევის სახლში, მირზოევმა, კარლ კოპმა და ნავთიკოვმა—ნავთლუღში.

◆ მეშვიდე საპოლიციო უბნის სახლის პატრონმა არჯევანიძემ განცხადება შეიტანა ტფილისის გუბერნატორთან, რომ იმის მეზობლის არუთინოვის სახლის კედლები **ძალიან დაძველებულია** და შეიძლება ჩამოიქცეს და უბედურება მოახდინოს. ამისთვის სთხოვს ამ შენობას ყურადღება მიაქციონ. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, გამოიძიონ საქმე არჯევანიძის განცხადების გამო, უბედურების ასაცილებლად.

◆ კამოიანთა ეკლესიის კრებულმა (სასახლის ქუჩაზე) მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, რომ დაუთმონ ალაგი ქალთა 1-ლ გიმნაზიასთან ან მუზეუმთან ეკკლესიის **მასალის საწყობად,** რომელსაც ეხლა აშენებენ. გამგეობამ თხოვნაზე უარი უთხრა.

◆ გუშინ, 13 მარტს, მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ტფილისის ხელოსანთა მოურავის კარაპეტ არტემის ძის სერობიანცისა, რომელსაც მჭედლების ამქრის უსტაბაში დათა მ. გალუსტოვი უჩიოდა სამსახურის აღსრულების დროს შეურაცხების მიყენებას და ცილის დაწამებას. საქმე ამნაირად ყოფილა: 24 თებერვალს დანიშნული ყოფილა არჩევანი მჭედელთა ამქრის უსტაბაშისა, და, რადგანაც რამდენიმე ხნია უსტაბაშად გალუსტოვი ყოფილა, ამ დღესაც ყუთის დადგმა თვით მოუსურვებია; ეს რომ სერობიანცს შეუნიშნავს, კანდიდატის საარჩევნო სია გაუხევია და უთქვამს: გალუსტოვს ყუთის დადგმის ნებას არ მივცემ, რადგანაც იგი ციხეში იჯდა დანაშაულობისათვის და ნება არა აქვს უსტაბაშის თანამდებობაზე კენჭი იყაროსო. გალუსტოვს ეს ცილის დაწამებად გამოუცხადებია, რადგანაც იგი პასუხის გებაში არასოდეს არა ყოფილა მიცემული, და საჩივარიც აღუძრავს მომრიგებელ-მოსამართლესთან. მომრიგებელმა მოსამართლემ მიიღო სახეში ის გარემოება, რომ ყოველივე, გალუსტოვისაგან განცხადებული, ხდება სერობიანცის სამსახურის მიერ აღსრულების დროს და ამიტომ მომჩივანს ამ საქმის გამო უნდა მიემართა მთავრობისათვის და გარდასწყვეტა მოსპობილ იქნეს ეს საქმე. გალუსტოვმა ამის გამო განიზრახა საჩივრით მიჰმართოს მთავრობას.

◆ ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებმა ნაფიც ვექილის თანაშემწემ ნიკოლოზ მზარეულოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ მისის სახლიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს ვერცხლის ფულის კოლექცია წონით 3—4 გირვანქა, ღირებული 800 მანეთად. მზარეულოვმა ეჭვი განაცხადა თავის მსახურ ანასტასია პიშნოვისაზე, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

წერილი ოზურგეთიდან

(გოგოლის ხსენება.—ვ. აბაშიძის პატივისცემა)

ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის უფროსმაც გაიხსენა გოგოლის პატივის ცემის რითიმე აღნიშვნა; დილის 12 საათზე გამართულ იქმნა სკოლის შენობაში სადღესასწაულო დილა. მოწაფეთ წაიკითხეს გოგოლის ნაწარმოებიდან ზოგიერთი ადგილები. სადღესასწაულო აქტში მონაწილეობას დებულობდა აგრეთვე ბ. გოლოვინა, როგორც გოგოლის ნათესავთაგანი. უკრავდა სკოლისავე მუსიკა. მიპატიჟებული იყვნენ „რჩეულნი ოზურგეთისნი“.

იმავე დღეს, საღამოს კერძო, შენობაში საყვარელ არტისტის „ვასოს“ პატივსაცემლად გამართულ იქმნა წარმოდგენა. წარმოდგენის გამართვას მეთაურობდნენ „ჩვენი პაწა არტისტები“. ბ.ბ. ვასო ურუშაძე და ალ. წუწუნავა. წარმოდგენას დიდათ შეუშალა ხელი შენობის სივიწროვემ. ბევრი ბილეთიანი უკანვე დაბრუნდა უადგილობისა გამო. წარმოდგენილ იქმნა გოგოლის „რევიზორი“-დან ერთი მოქმედება, „გამარჯვებულებს არ სჯიან“ და „ორი მშიერი.“ ანტრაქტებში არტისტმა ა. წუწუნავამ გაგვაცნო ვასო აბაშიძის ბიოგრაფია და მისი სცენაზე მოღვაწეობა. დამსწრე საზოგადოებამ იქვე გადასწყვიტა გაგზავნილიყო საჩქარო დეპეშა, რომ „ოზურგეთის თეატრის დამსწრენიც ვაშას უძღვნიან საყვარელ არტისტს ვასოს“. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა ფოსტა—ტელეგრაფის დახურვის გამო. დასასრულ ან. წუწუნავასგან წაკითხულ იქნა გურული სცენები. „პაწა არტისტებმა“ იმღერეს „სადღეისო კუპლეტები“. ყოველივე ეს მხიარულად დასრულდა ვასო ურუშაძის გურული სცენებით და საზოგადოებაც კმაყოფილი დაიშალა. სრული შემოსავალი იყო 70 მანეთამდე, რომელიც, ხარჯის გამოკლებით, გადაეცემა დრამატიულ საზოგადოებას, მის განკარგულებაში.

◆

წერილი ქიზიყიდან

(ამინდი.—მოსავალი.—ეკონომიური მდგომარეობა. —ჯანმრთელობის საქმე და სხვა.

(დასასრული*)

მოუსავლობის დამღა დაეტყო ყველა სოფლის წეს-წყობილებას. ცოტ-ცოტა ღოთობაც იკიდებს ფეხს აქ. ავკაცობა—ბოროტ-მოქმედებამ ხომ კარგა ხანია ყველას ყურადღება მიიქცია. მომეტებულმა ნაწილმა სოფელს მიანება თავი და ბედ-იღბლის საძებნელათ სხვაგან წავიდა. სოფლიდან სამუშაოთ გადის სულ ახალგაზდა— სიცოცხლით სავსე უმაწვილ-კაცობა და სოფლათ კი მარტო მოხუცებულთ და დასნეულებულ დაავადმყოფებულებს სტოვებენ, რომელნიც არც გარეთ ვარგანან და არც შინ. მიდიან სოფლიდან გარეთ სამუშაოთ და ეჭვს-გარეშეა, რომ მომეტებული მათგანი აღარ დაუბრუნდება სოფელს და, თუ მოიბრუნდება—სულ სხვა გემოვნებით და შეხედულება-მიზნით. ავადმყოფობამაც იმატა ქიზიყში! აქ უფრო ავადმყოფობენ ციებ-ცხელებით. ამისი მიზეზი- კი სოფელს ახლო მდებარე ჭაობები არის, რომლის დამპალი და დაშმორებული ჰაერი ადვილად ერევა უხეიროთ ნაკვებ ქიზიყელის აგებულებას. მართალია, დიდ-ხანია აღიძრა კითხვა ამ ჭაობების გასაშრობათ და მცოდნე ჰიდრავლიკ-ტეხნიკოსიც ითხოვეს, მაგრამ აღთქმა აღთქმათ დარჩა და ხალხი კი დღითი-დღე ზარალობს ამ ჭაობების წყალობით. ამისი ცოდნა ძვალ-რბილში არა აქვს გამჯდარი ხალხს, თორემ ამდენს სიკვდილით ზარალს ისევ ფულით ხარჯს ირჩევდა და თავის ხარჯით მაინც მოიწვევდა მცოდნე ჰიდრავლიკს ჭაობების ამოსაშრობათ. მართალია, ქიზიყს თავისი საკუთარი ექიმებიც ჰყავს და ქსენონებით აქვს, მაგრამ ესენი ნაათალზედაც ვერ აკმაყოფილებენ ხალხს და ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულებას.

რადგან ეხლა სხვაგანაც აპირებენ სასოფლო ხარჯით ქსენონების გამართვას და ამას თვით მთავრობაც აქეზებს, ამიტომ აქ უფრო მეტად შევჩერდებით და ვიტყვით ჩვენს შეხედულებას, რაც გამოცდილებამ დაგვანახვა. კაცი სულ ბრმა უნდა იყოს, გონებით და სულით დაცემული, რომ უარ - ჰყოს ქსენონების მნიშვნელობა ხალხში. ეს თვით სოფლებმაც შეიგნეს, მხოლოდ, როგორც ეხლა ქსენონები და ექიმები არსებობენ ქიზიყში, ამ პირობებში და გარემოებაში დაყენებული ქსენონები და ექიმები ხალხში უკმაყოფილებას ჰბადებენ და ძალიან შორს არიან თავიანთ მიზანზე. ჩვენი ხალხი გაღვიძებულია და გრძნობს ექიმის საჭიროებას და დახმარებას. ისინი ცოტამ რამ სატკივრისათვისაც კი ექიმთან გარბიან, მით უმეტეს, რომ მუქთია. ამასთან ქიზიყის სოფლები ისეც დიდები, (აქ სამას კომლზე ნაკლები სოფელი არ არის და მომეტებული კი 650—კომლიანი და ხშირად 900 კომლიანიც) და ზედი-ზედ არიან გადამბული, ისე რომ ხევი რომ არ ჩამოუდიოდეს სოფელს შუა, იშვიათი იყო იმის გარჩევა. სიახლოვის გამო აუარებელი ხალხი აწყდება ექიმს და ქსენონს. ერთი ექიმი კი ამოდენა ავადმყოფებს ვერ ასდის და არც წამალი აქვთ ყველას სამყოფი. უქონლობისა გამო მომეტებულ ნაწილათ ხალხს ხინითა და ზეთით აკმაყოფილებენ, რომელიც საკმარისი არ არის ავადმყოფებისათვის. ყველა ამას კარგად ჰგრძნობს ხალხი და შემძლებელნი უფრო სიღნაღიდან იწვევენ ექიმსაც და წამლებსაც იქიდან ეზიდებიან. მაგრამ მომეტებული აქ მოსულნი კი, რაკი ვერა კმაყოფილდებიან და გასინჯვისა და წამლის მიღების მაგიერ პასუხათ ისმენენ „მერე მოვიდნენ, ან არა გვაქვსო“—მოთმინებიდან გამოდიან—აქვე ექიმსაც აჯავრებენ, ფერშალსაც და ემუქრებიან: აღარც ფულს გადვიხდით და ქსენონსაც დავკეტავთო.

დამშვიდების შემდეგ ბევრი ჰგრძნობს რომ ყოვლად შეუძლებელია ერთმა ექიმმა მოასწროს ყველას გასინჯვა და ან მანათად საკმაო წამლის შეძენა შეიძლებოდეს, მაგრამ ყველა ხომ ფხიზელი გონებისა არ არის და ამიტომ ხშირად ისმის ხალხში უკმაყოფილება ქსენონზედაც და ექიმებზედაც და ბევრგან კიდევაც მოხარულნი არიან, გაუქმდეს ეს დაწესებულება. ჩვენ ბევრისგან გაგვიგონია ის საყვედურიც ექიმებზე, რომ: თუ ჩვენ უცოდინარი ვიყავით, ჩვენმა მრჩევლებმაც ვერ გაზომეს კარგად და ამოდენა ხალხი დაგვტოვეს ერთი ექიმის ანაბარად, რატომ ექიმები თვით არ ამბობენ, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია და რათა კისრულობენ აქ სამსახურსაო; რატომ თავს არ დაანებებენ, რომ ჩვენ მაშინ ვიღონოთ საშუალება: ან ისე მოვაწყოთ საქმე, როგორც საჭიროა, ან სულ ჩამოვეთხოვოთ ამ საჯარო დაწესებულებას და ოცნებით არა ვტყუვდებოდეთო. რასაკვირველია, აქ ჩაგონებაა საჭი-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1750.

რო, რომ ხალხს ჩააგონონ—ექიმი და საშუალება მოემატოს და არ კი დაიკლოს, მაგრამ არც იმაში ტყუიან, რომ ექიმები კისრულობენ მართლაც და შეუძლებელ საქმეს. აქ ერთხელ ისიც მოხდა, რომ რაკი წამალი შემოაკლდათ, წყალში რამდენსამე წვეთ კაპლს ურევდნენ თურმე ფერის მისაცემათ და იმას ურიგებდნენ ხალხს. ჩვენ ჩვენს თავადაც ახლა ხომ უმეტესათ იმ აზრისანი ვართ, რომ ხალხი არ უნდა მოატყუოს ვინმემ, ან რაიმე მიზნით და თუ უნდათ ამ დაწესებულებებმა და ექიმებმა ნაყოფი მოიტანონ და გაამართლონ ის იმედები, რაც უნდა მოეთხოვებოდეთ, მაშინ ყოველ ორ სოფელზე ერთი ექიმი უნდა იყოს მოწვეული და ქიზიყში ორი ექიმის მაგიერ, სულ ნაკლებ 5 ექიმი მაინც უნდა იყვეს, მხოლოდ წამალი ყველა ავადმყოფმა თითონ თავის ხარჯით იყიდოს, ან კომლზე სამი მანეთი მაინც უნდა გამოიღონ ეხლანდელ მანეთის მაგიერ. ამასთან ათთიაქი ორ-სამს ქსენონზე ერთი იქნება პროვიზორით და ყველა საჭირო წამლებით და იარაღებით გაწყობილი—შუაგულ სოფელში გამართული კერძო პირის თაოსნობით ან ამხანაგობით და პირობით შეკრული ექიმთან, რომ მეტი ფასების აღება არ გაბედონ, როგორც ეხლა შვრებიან ხოლმე კერძო აფთიაქების პატრონნი. თუ ასე არ იქნება მოწყობილი, ან უფრო კიდევ უკეთესად აწ არსებული ქსენონები, თვით ექიმებიც ვერ მიაწევენ თავიანთ მიზანს და ვერ დააკმაყოფილებენ ხალხის გადვიძებულ მოთხოვნილებას, რასაც შედეგათ ის მოჰყვება, რომ, თუ საზოგადოებამ თითონვე არ დაბეტა ეს კეთილი და უსაჭიროესი დაწესებულება, თვით ექიმები იქნებიან იძულებულნი თავი დაანებონ და გაიქცნენ. ჯერ უკვე სულ ცოტა ხნის განმავლობაში ორივე ქსენონში ექიმები დაიცვალნენ და ვინც ეხლა არიან, ესენიც, მგონი, დღე-დღეზე აპირებენ წასვლას. ფერშლები ხომ ძალიან ხშირათ იცვლებიან და ანებებენ თავს ქსენონებს. კარგი იყო ამაზე ხმა ამოეღოთ თვით აქ ნამსახურ ექიმებს და დაესაბუთებინათ ნამდვილი მიზეზი და აღენიშნათ, თუ რამდენათ შესაძლებელია დღევანდელ პირობებში ქსენონებს თავიანთი მიზანი შერჩეთ და ან რა რიგათ უნდა შეიცვალოს გარემოება და საშუალება, რომ მათ თავიანთი დანიშნულება გაამართლონ და ხალხს გული არ აუცრუვონ ამ საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაზე.

გულაძე.

უცხოეთის წვრილი ამბები

ამ ჩვენს დროში საოცრებამდის მიაღწია ექიმობამ საზოგადოდ და მეტადრე ქირურგიამ: სწორედ სასწაულებს ჩადიან.

ამას წინად გაზეთებში მოყვანილი იყო საოცარი ამბავი, რომ ორი დანი—ტყუპები, რომლებიც გვერდებით ერთმანეთზე შეხორცებულები იყვნენ, ეხლახან პარიზის ქირურგებმა ქვეყნის გასაშტერებლად განაშორეს ერთმანეთს! ამ დებს სახელად ერქვათ რადიკა და დუდიკა. რადგანაც დუდიკა უფრო სუსტი იყო თავის დაზე, და, ეტყობა, რომ დის სხეული ასაზრდოვებდა იმას, ოპერაციის შემდეგ დიდხანს ვერ იცოცხლა და მოკვდა. ხოლო რადიკა, როგორც ბევრად ჯანმრთელი, ცოცხალი დარჩა. ექიმმა დუაენმა ეხლა ნება მისცა, ლოგინიდან ამდგარიყო და რადიკამ პირველად თავის სიცოცხლეში მარტო გაიარა ოთახში. იმას ძალიან უკვირს, რომ მარტო დადის და თავისუფლად ამოძრავებს მარცხენა ხელს, რომელიც აქამდის არაფერს არ უკეთებდა და მოხვეული ჰქონდა თავის დის დუდიკას კისერზე.

რადიკა სულ თავის დასა კითხულობს, რომლის სიკვდილსაც იმას უმალავენ, და ძალიან სწუხს უიმისობას. როგორც კი კარგი დარი გამოვა, რადიკას წაიყვანენ სასეირნოდ ბულონის ტყეში. შემდეგ გაგზავნიან ერთის თვით სანატორიაში, რომ სრულიად გამომთელდეს.

* *

ინგლისში ერთი გამოჩენილი მცურავი ქალია ხილდა ტორნი. გაზეთების სიტყვით, ეხლა ეს ქალი იწვევს მთელი ქვეყნის მცურავებს, კაცებს თუ ქალებს და უნდა, ცურაობაში გაეჯიბროს ზღვაში თუ მდინარეში ერთი ვერსის მანძილზე. ხილდა ტორნი სულ 18 წლისა არის, მაგრამ რამდენიმე სანაძლეო მოუგია. შარშან „მცურავთა კლუბის“ სანაძლეო მოიგო ცურაობაში ქალაქ ლიდსში.

* *

აი რა ხარჯი აქვს ინგლისს სამხრეთ-აფრიკაში ბურების გადამკიდე. ყოველ კვირის ხარჯი შეადგენს ორთა შუა რიცხვით 37 და ნახევარ მილიონს ფრანკს, ესე იგი: დღეში—5,340,000, საათში—290,000 და წუთში—3,700 ფრანკს ანუ, ჩვენის ფულით წუთში 100 მან., საათში—6,000 მან., დღეში—144,000 მან. და ამგვარად. ინგლისის სამხედრო უწყების ხარჯი 1902 წელს შესდგება—სამი მილიარდი და 273 მილიონი, ანუ სამი ათას-ორას-სამოცდა-ცამეტი მილიონი (3,273,000,000).

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 მარტი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია ხელშეკრულობა რუსეთსა და რუმინიის შორის შესახებ თევზის ჭერისა დუნაის და პრუტის წყლებში.

ოდესა. „ოდესის ქალაქის უფროსის უწყებაში“ მოთხრობილია, რომ მათ უდიდებულესობათ უმოწყალესად უბოძეს გრაფინია ა. ი. მუსინ-ფუშკინისას ძვირფასი ფართორის საჩუქრები, გრაფინიასაგან გამართულის ლატარეის გამო ღარიბთ დამხმარებელ საზოგადოების ღონის-ძიებათა გაძლიერებისათვის.

არხანგელსკი. კემსკის მაზრაში აღმოაჩინეს კეთროვანება.

პენზა. ოლგას თავშესაფარის სასარგებლოდ გამართულმა სასულიერო კონცერტმა ბორტნიანსკის პატივსაცემად კარგად ჩაიარა.

ხარკოვი. ურთიერთ კრედიტის საზოგადოების საზოგადო კრება შესდგა, რომელმაც შარშან იზარალა ბანკის გაკოტრების გამო. თუმცა დამატებითი ფული შეიტანეს, მაინც ამ ჟამად საჭიროა 157,000 მანეთი, რომ ზარალი დაჰფარონ. ყოველ დღე დიდ-ძალი გადასახლებულები მიდიან ჩელიაბინსკისკენ.

მოსკოვი. იაროსლავ-კოსტრომის ბანკმა გადაწყვიტა იმუამდგომლოს თანხის გადიდებაზე მილიონი მანეთით.—გეტინგენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი ლიუბოვ ზაპოლსკაია გეზამენს იჭერს მოსკოვის უნივერსიტეტში წმინდა მათემატიკის მაგისტრის ხარისხზე.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან 11 მარტს: უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოკლულია ხუთი ბური. ტყვედ წაყვანილი 95 და დაგვნებდნენ 63; სამი ზარბაზანი ვიპოვეთ. კაპის ახალშენის შუა გულში მტრის რაზმი იმყოფება, ორასი კაცისაგან შემდგარი. დასავლეთით წვრილი რაზმები, რომელთაც ჩრდილოეთით სდევნიან, გვაწუხებენ. დიდი რაზმები პატარ-პატარებად დაიყო.—„დეილ ხრონიკ.“ მოუყვიდა ამბავი, რომ მოლაპარაკების დროს ინგლისის ჯარები დევეტსა, დელარეის და ბოტას წინააღმდეგ მოქმედებას შესწყვეტენ, ვიდრე ეს სამი სარდალი ბურებისა მორიგებას დაიცავენ, სანამ ბურების დელეგატები ჯარებთან დაბრუნდებიან.—„დაილ მაილ“ ამბობს, რომ, პირ იქით, მორიგებაზე სრულიადაც არა ფიქრობენ და დელარეის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ.

სოფია. მინისტრი-პრეზიდენტი დანევი პეტერბურგს წავიდა.

პარიზი. საბუთის ქაღალდში განსაკუთრებული კრედიტის შესახებ პრეზიდენტ ლუბეს რუსეთში წასასვლელად მოყვანილია წერილის შინაარსი, რომლითაც იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იწვევს პრეზიდენტ ლუბეს.

პარიზი. პატალა. დელკასეს წინადადება შეაქვს 500,000 ფრანკის გადადებაზე პრეზიდენტ ლუბეს რუსეთში წასასვლელად, ამასთანავე იგონებს რუსეთის იმპერატორის წერილს, რომლითაც ის სთხოვს ლუბეს მოსვლას, რომ პირადად დარწმუნდეს ერთგულ გრძნობებში ხალხისა საფრანგეთისადმი, და აგრეთვე რუსთა და ფრანგთა ერთობის გასამტკიცებლად. წინადადება უსიტყვოდ შეწყნარებულ იქმნა.

პარიზი. ფირმე ფორს შეაქვს წინადადება, რომ აღეკრძალოს ბაღდადის რკინის გზის საზოგადოებას აქციებისა და ობლიგაციების გამოცემა საფრანგეთში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საფრანგეთის პარლამენტი გამოცემის ნებას მისცემს. დელკასე უპასუხებს, რომ დიპლომატია თავის დღეში არ გარეულა ბაღდადის რკინის გზის საქმეში.

პეტერბურგი. გარდაიცვალა უხუცესი პროფესორი სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა ბალინსკი.

პეტერბურგი. სასოფლო-სამეურნეო საბჭოს სესია მიწად-მოქმედების სამინისტროსთან გაიხსნება 28 მარტს.—დღეს იხსნება სხდომა სათავსო საქმეთა მრეწველებისა. მიწად-მოქმედების მინისტრმა მშვენიერის სიტყვით დაარღვია ის აზრი, ვითომ მცირე სათავსო მრეწველობა უნდა დაიღუპოს დიდს საფაბრიკო ნაწარმოებთან ბრძოლაში. წევრები 300 მეტია.

12 მარტს ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, დიდმთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად, დაათვალიერა მე-10 გამოფენა სურათებისა.

გუშინ, 11 მარტს, წაბრძანდა ვირონეჟის გუბერნიაში პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი მეუღლით.

13 მარტი.

ოდესა. აკერმანისაკენ ხელ ახლავ დაიწყო გემთ მოძრაობა.—ოდესის მაზრაში ყანების თესვა დაიწყეს.

ბრესტ-ლიტოვი. აქ ჩქარა დაიწყებენ წყლის მილის მუშაობას, აგრეთვე შეუდგებიან ვაჟთა გიმნაზიის სადგომის აშენებას.—მოქალაქეთა სამმართველომ წარუდგინა საგუბერნიო სამმართველოს სოფლის მცხოვრებთა განაჩენი და თხოულობენ ღარიბ ებრაელ ქალთა 4-კლასიან სკოლის დაარსებას. ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარეს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ოკას ნაპირი სიგრძით 50 საჟენი, სიმაღლით 20 საჟენი ჩამოიქცა რკინის გზის ლიანდაგზე. საქონლის მატარებლების მოძრაობა ნიჟნიდან შეჩერდა.

კონსტანტინეპოლი. დიპლომატიურ წარმომადგენელთ ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთისამ სოფიაში მიმართეს ბოლგარიის მთავრობას მტკიცე კითხვის შესახებ მაკედონელთა კომიტეტებისა. ბოლგარიის მთავრობამ განაცხადა, რომ არასოდეს ხელი არ მოუმართავს კომიტეტების შეღლისთვის, რადგანაც ამ კომიტეტებს შეუძლიანთ უწესოება გამოიწვიონ მაკედონიაში. დაჰპირდენ, სასტიკი ზომები მიიღონ, რომ დაუშალონ ბრბოს შედგენას ბოლგარიაში და იმის მამულზე გავლას მაკედონიაში.

ბერლინი. ახალი ამბავი რუსეთის სესხის განაღდებისა გერმანიაში აქაურმა მწერლობამ დიდის თანაგრძნობით მიიღო. ბერლინის გაზეთები ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ თავისუფალ გერმანელთა კაპიტალისტებმა დიდი ხნის შემდეგ კიდევ მონახეს ბინა რუსეთის სახელმწიფო ქაღალდებში.

პარიზი. იმ გარემოებას, რომ რუსეთი თავის სესხს გერმანიასა და ჰოლანდიაში ანაღდებს, საფრანგეთის გაზეთები დამშვიდებულად მიეგებნენ; ისინი სრულიად კანონიერად სთვლიან ამ ოპერაციას, ისე, როგორც კანონიერი იყო 1901 წლის სესხის განაღდება საფრანგეთში. ზოგიერთი ფინანსიური წრეები უფრო კმაყოფილნი იქნებოდნენ, თუ რომ ეს დიდი საქმე საფრანგეთის კაპიტალისტებს არ გამოსცლოდათ ხელიდან; მეორის მხრით არიან ისეთებიც, რომელნიც სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ რუსეთს თავის საკრედიტო ოპერაციებისთვის რამდენიმე ბაზარი აქვს და რომ ამითი მტკიცდებაო რუსეთის ფინანსების შეურყეველი მდგომარეობა.

ვოლზევეკ. ხმა დადის, რომ ტრანსვაალის მთავრობის წევრები, რომლებიც ეხლა კრონშტადტის გზას ადგანან, მზად არიან დანებდნენ მტერს, რომ ბოლო მოუღონ ომს.

პეტერბურგი. სტატსკი სოვეტნიკი ლიპსკი დაინიშნა სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ.—ნება დართეს, 25 აპრილს გამართონ სხდომა რკინის გზის მოძრაობის წარმომადგენელთა კიევში.

პეტერბურგის ბირჟა 5 მარტს

გექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,27½	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅝	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	99⅞	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	370	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	302½	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89¾	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ქართული თეატრის გამგეობა აცხადებს, რომ ვ. აბაშიძის იუბილეის დღეს ვიღაცას **საათი დაჰკარგვია** თეატრში; პატრონს შეუძლიან მიიღოს იგი თეატრის კანტორაში, საათის ნომრისა და ნიშნების ჩვენების შემდეგ.

აგრეთვე ვიღასაც თეატრიდან შეცდომით წაუღია სხვისი ნაბადი და თავისი იქ დაუტოვებია; სთხოვენ, წაღებული ნაბადი დაიბრუნოს და თავისი მიიღოს.

ციხიდან გამოსულ დამნაშავეთა გამასწორებელ სამიწად-მოქმედო-სახელოსნო ახალშენთა და თავშესაფართა მმართველობა, თანახმად საზოგადოების წესდების § 16, უმორჩილესად სთხოვს ბ. ბ. საზოგადოების წევრთ, მობრძანდნენ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში, კვირას, 25 მარტს ამა 1902 წლისა, შუადღის 12 სათზე.

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში მმართველობის მოქმედებისა 1901 წელს.

2) ფულის ანგარიში საზოგადოებისა 1901 წლ.

3) გამასწორებელი ახალშენის ანგარიში 1991 წ.

4) შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებისა 1902 წლისთვის.

5) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1901 წ. ანგარიშისა და 1902 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

6) კითხვა მმართველობის ახალი წევრების არჩევანების გამო იმათ სამაგიეროდ, რომელთაც ვადა გაუვიდათ საზოგადოების წესდების 22 მუხლის ძალით.

7) კითხვა ფ. ა. ბიკოვის მიღებაზე საპატიო წევრად საზოგადოებისა.

8) კითხვა კავკასიის გამასწორებელი სამიწად-მოქმედო-სახელოსნო ახალშენის წესდების მე-2 მუხლის შეცვლის გამო.

შენიშვნა: საზოგადო კრება შესდგება, უკეთუ კრებას დაესწრება არა ნაკლებ 20 წევრისა. (საზოგ. წეს. 17 მუხლი). (3—1).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ იმათ სახელზე ქონებათა გადატანის დოკუმენტების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია და აგრეთვე განცხადების შემოტანისა მაში, რომელ საარჩევნო უბანში სურთ მიიღონ მონაწილეობა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალ არჩევნებში—10 აპრილამდის 1902 წ. (3—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 13 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.